

შპს "მრჩეველი"

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	2
--	---

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	15
6. ფული და ფულის ექვივალენტები	15
7. მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	15
8. სასესხო ვალდებულებები	16
9. შემოსავლები	16
10. რეალიზაციის თვითღირებულება	16
11. ადმინისტრაციული ხარჯები	17
12. ფინანსური რისკების მართვა	17
13. პირობითი ვალდებულებები	20
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	21
15. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	21

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მრჩეველის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ცალკეული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

დირექტორი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ნინო წერეთელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მრჩეველის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ცალკეული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

დირექტორი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ნინო წერეთელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

**სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1 514 626	1 573 691
არამატერიალური აქტივები		15 718	19 945
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	5	116 042	116 042
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 646 386	1 709 678
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები		132 866	115 164
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	7	221 721	203 711
წინასწარ გადახდილი გადასახადები		12 816	10 751
გადახდილი ავანსები		1 050 419	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		80 029	53 494
ფული და ფულის ექვივალენტები	6	785 902	420 804
სულ მიმდინარე აქტივები		2 283 753	803 925
სულ აქტივები		3 930 139	2 513 602
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		93 478	93 478
გაუნაწილებელი მოგება		2 042 209	1 630 131
სულ კაპიტალი		2 135 687	1 723 609
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
გრძელვადიანი სესხები	8	973 695	160 622
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		973 695	160 622
მიმდინარე ვალდებულებები:			
მოწოდებიდან და მომს.წარმოქმნილი ვალდებულებები		694 391	568 336
მოკლევადიანი სესხები	8	88 368	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		37 999	61 035
სულ მიმდინარე ვალდებულებები		820 757	629 371
სულ ვალდებულებები		1 794 452	789 993
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 930 139	2 513 602

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

ნინო წერეთელი

დირექტორი -----

მთავარი ბუღალტერი -----

2019 წლის 15 ივლისი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	1 514 626	1 573 691
არამატერიალური აქტივები		15 718	19 945
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	5	116 042	116 042
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 646 386	1 709 678
მიმდინარე აქტივები:			
მარაგები		132 866	115 164
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	7	221 721	203 711
წინასწარ გადახდილი გადასახადები		12 816	10 751
გადახდილი ავანსები		1 050 419	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		80 029	53 494
ფული და ფულის ექვივალენტები	6	785 902	420 804
სულ მიმდინარე აქტივები		2 283 753	803 925
სულ აქტივები		3 930 139	2 513 602
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		93 478	93 478
გაუნაწილებელი მოგება		2 042 209	1 630 131
სულ კაპიტალი		2 135 687	1 723 609
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
გრძელვადიანი სესხები	8	973 695	160 622
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		973 695	160 622
მიმდინარე ვალდებულებები:			
მოწოდებიდან და მომს.წარმოქმნილი ვალდებულებები		694 391	568 336
მოკლევადიანი სესხები	8	88 368	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		37 999	61 035
სულ მიმდინარე ვალდებულებები		820 757	629 371
სულ ვალდებულებები		1 794 452	789 993
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3 930 139	2 513 602

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

დირექტორი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ნინო წერეთელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	9	8 555 059
რეალიზაციის თვითღირებულება	10	(5 549 290)
მთლიანი მოგება		3 005 769
მიწოდების ხარჯები		(217 131)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(2 156 699)
საპროცენტო ხარჯები		(59 697)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(103 267)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(56 897)
მოგება დაბეგვრამდე		412 078
მოგების გადასახადი		-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		412 078
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		412 078
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:		
კომპანიის მფლობელებს		416 296
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(4 218)
სულ წლის სრული შემოსავალი		412 078

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

ნინო წერეთელი

დირექტორი -----

მთავარი ბუღალტერი -----

2019 წლის 15 ივლისი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
შემოსავალი	9	8 555 059
რეალიზაციის თვითღირებულება	10	(5 549 290)
მთლიანი მოგება		3 005 769
მიწოდების ხარჯები		(217 131)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(2 156 699)
საპროცენტო ხარჯები		(59 697)
ფინანსური ხარჯი, წმინდა		(103 267)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		(56 897)
მოგება დაბეგრამდე		412 078
მოგების გადასახადი		-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		412 078
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		412 078
სულ წლის სრული შემოსავალი რომელიც ეკუთვნის:		
კომპანიის მფლობელებს		416 296
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს		(4 218)
სულ წლის სრული შემოსავალი		412 078

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

დირექტორი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ნინო წერეთელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრი		93 478	1 630 131	1 723 609
სულ წლის სრული შემოსავალი		-	412 078	412 078
გაცემული დივიდენდი				-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრი		93 478	2 042 209	2 135 687

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

ნინო წერეთელი

დირექტორი -----

მთავარი ბუღალტერი -----

2019 წლის 15 ივლისი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „მრეველი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრი	93 478	1 630 131	1 723 609
სულ წლის სრული შემოსავალი	-	412 078	412 078
გაცემული დივიდენდი	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრი	93 478	2 042 209	2 135 687

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

დირექტორი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ნინო წერეთელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე:		412 078
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		191 697
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული ზარალი		7 964
საპროცენტო ხარჯები		59 697
საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტო		(103 267)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		568 169
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა/(კლება)		(26 991)
მარაგების ზრდა/(კლება)		(17 702)
გადახდილი ავანსების ზრდა/(კლება)		(1 050 419)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდა/(კლება)		(28 599)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(კლება)		120 013
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(კლება)		(13 854)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(449 384)
მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(449 384)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(179 421)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(3 106)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		58 980
არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან		3 106
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(120 441)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღებით მიღებული თანხები		1 170 973
სესხების გადახდა		(229 063)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		941 911
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება		372 086
ფული და ფულის ექვივალენტების წლის დასაწყისში		420 804
სავალუტო კურსის ზეგავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(6 987)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		785 902

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

ნინო წერეთელი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე:		412 078
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია		191 697
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული ზარალი		7 964
საპროცენტო ხარჯები		59 697
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი, ნეტო		(103 267)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		568 169
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა/(კლება)		(26 991)
მარაგების ზრდა/(კლება)		(17 702)
გადახდილი ავანსების ზრდა/(კლება)		(1 050 419)
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ზრდა/(კლება)		(28 599)
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(კლება)		120 013
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(კლება)		(13 854)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(449 384)
მოგების გადასახადი		
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(449 384)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა		(179 421)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(3 106)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		58 980
არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან		3 106
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(120 441)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების აღებით მიღებული თანხები		1 170 973
სესხების გადახდა		(229 063)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		941 911
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/კლება		372 086
ფული და ფულის ექვივალენტების წლის დასაწყისში		420 804
სავალუტო კურსის ზეგავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე		(6 987)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		785 902

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 ივლისს.

ნიკოლოზ აბრამიშვილი

დირექტორი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

ნინო წერეთელი

მთავარი ბუღალტერი

2019 წლის 15 ივლისი

საქართველო, თბილისი

7-21 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მრჩეველი“ დაფუძნებულია 2000 წლის 6 ოქტომბერს და რეგისტრირებულია თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204954497. კომპანიის პარტნიორები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ნიკოლოზ აბრამიშვილი (ს/კ 01017017098) – 30%

დავით მეტრეველი (ს/კ 01024014114) – 30%

ირაკლი რცხილაძე (ს/კ 01008009715) - 40%

შპს „მრჩეველი“-ს იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზირი N9, ბინა 18. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც აწარმოებს სამედიცინო ლაბორატორიულ კვლევებს, აგრეთვე იღებს საკვლევ მასალებს და აგზავნის მათ, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის სხვადასხვა ლაბორატორიებში. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი ნიკოლოზ აბრამიშვილი (ს/კ 01017017098), რომელიც აგრეთვე არის კომპანიის 30% წილის მფლობელი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	31.12.2018 მფლობელობა	01.01.2018 მფლობელობა	ყიდვის/დაარსების ს წელი	ინდუსტრია
შპს „მრჩეველი ბათუმი“	70%	70%	09/07/2013	სამედიცინო/ლაბორატორიული კვლევები
შპს „მრჩეველი ქუთაისი“	75%	25%	07/02/2017	სამედიცინო/ლაბორატორიული კვლევები

ჯგუფში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 125 თანამშრომელი, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 136 თანამშრომელი.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზანია, კომპანია მომავალი საანგარიშო პერიოდიდან სრულად გადავიდეს მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კომპანიის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმავე საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილია აქ, თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადაწყვიტა წარმოადგინოს სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია მსს ფასს-ის მე-9 განყოფილების „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ შპს „მრჩეველი“ ახორციელებს კონტროლს აქ წარმოდგენილ შვილობილ კომპანიებზე და გააჩნია მათი სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილება, მათი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით.

2.2 ვალუტა

ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701
2018 წლის 1 იანვარი	2.5922	3.1044

2.3 ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20-30
მანქანა-დანადგარები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	2-10
სხვა ძირითადი საშუალებები	2-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

ჯგუფში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

2.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტის განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “წავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარელიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ნეტო სარელიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ჯგუფში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა.

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში (ლაბორატორიულ კვლევებში და კვლევითი მასალების აღებისათვის) და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

2.6 მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

ჯგუფის მოთხოვნები ძირითადად შედგება გაწეული მომსახურებიდან მისაღები თანხებისაგან. გარდა ამისა დაკავშირებული პირებისგან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები თანხებისგან. ჯგუფის შიგნით არსებული მოთხოვნები ელიმინირდება ჯგუფის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფის წევრი კომპანიები მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს შიდა მოდელის შესაბამისად, ხოლო დაკავშირებულ პირებთან ინდივიდუალური მიმოხილვის საფუძველზე.

2.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, ავანსი აისახება გრძელვადიან აქტივებში და აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას. ჯგუფის გადახდილ ავანსს წარმოადგენს სამშენებლო კომპანიისათვის გადახდილი ავანსი და შესაბამისი სამშენებლო ფართის მიღება ივარაუდება მოკლევადიან პერიოდში.

2.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

2.9 კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია სათავო კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და ჯგუფის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა, რომელზეც აგრეთვე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში. ჯგუფის არც ერთ კომპანიას 2018 წლის განმავლობაში დივიდენდი არ გამოუცხადებია.

2.10 მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. ჯგუფის შიგნით არსებული ვალდებულებები ელიმინირდება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.11 სესხები

სავალო ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. იმ შემთხვევაში თუ სავალო ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი, მაშინ იგი უნდა შეფასდეს გადასახადელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლებისა ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლისას, საწარმომ სავალო ინსტრუმენტის სავარაუდო ვადის მიხედვით უნდა მოახდინოს ამ ინსტრუმენტთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენი საზღაურის, გადახდილი ფინანსური ხარჯის ან მიღებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება.

2.12 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველაწარმოადგენი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები. კონსოლიდაციის მიზნებისათვის სრულად გამოირიცხება შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული შემოსავლები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

ჯგუფი საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ახორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს სხვადასხვა კომპანიებისათვის დაკვეთილი ლაბორატორიული კვლევებიდან წარმოშობილ ხარჯებს, აგრეთვე საკუთარი ძალებით განხორციელებულ სამედიცინო კვლევებზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სამედიცინო კვლევების განხორციელებასთან. მასალები და ნედლეული თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

2.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი, თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

2.15 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ ჯგუფს შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საექვო ვალების რეზერვი. ჯგუფი, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრა

	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და ოფისის მოწყობილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1 330 309	327 770	180 294	419 131	68 992	2 326 496
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	(246 207)	(225 857)	(43 472)	(218 594)	(18 675)	(752 805)
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	1 084 102	101 914	136 822	200 537	50 317	1 573 691
შესყიდვები	-	15 232	50 644	92 157	2 228	160 260
ჩამოწერა/გაყიდვა	-	-	(14 324)	(13 305)	-	(27 628)
ცვეთის ხარჯი	(48 390)	(40 786)	(18 139)	(57 359)	(27 022)	(191 697)
ნაშთი პერიოდის ბოლოს	1 035 711	76 359	155 003	222 030	25 523	1 514 626

5. ინვესტიციები

ჯგუფს გააჩნია ერთი ასოცირებული პირი და ეს არის შპს „მრჩეველი მორფოლოგია“. ამ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიცია აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების გამოკლებით. ასოცირებულ პირად აღიარდება ის კომპანიები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირი ან არაპირდაპირი), მაგრამ არა კონტროლი, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ხმის უფლების 20-50 პროცენტის ფლობას.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2018	01.01.2018
ნაღდი ფული სალაროში	107 493	74 395
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	444 194	258 716
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	234 216	87 693

სულ ფული და ფულის ექვივალენტები:**785 902****420 804****7. მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან**

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი საბალანსო ნაშთები:

	31.12.2018	01.01.2018
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	396 590	382 583
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(174 869)	(178 872)
სულ მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან:	221 721	203 711

8. სასესხო ვალდებულებები

მოცემულია 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მიღებულ სესხებთან დაკავშირებული საბალანსო ნაშთები:

სესხის გამცემი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადადობა	31.12.2018	01.01.2018
სს საქართველოს ბანკი	USD	6.90%	07.04.2028	1 062 063	-
სს საქართველოს ბანკი	USD	10.00%	01.10.2018	-	160 622

	31.12.2018	01.01.2018
დარიცხული პროცენტი	(4 996)	-
სესხის მოკლევადიანი ნაწილი	(83 372)	(160 622)
სესხის გრძელვადიანი ნაწილი	(973 695)	-
სულ მიღებული სესხები	(1 062 063)	(160 622)

9. შემოსავლები

ჯგუფის შემოსავლები შედგება უშუალო მომხმარებლისათვის სამედიცინო-ლაბორატორიული კვლევების მიწოდებით. ჯგუფის შემოსავლები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ჯგუფის წევრებს შორის ერთმანეთში განხორციელებული ოპერაციები გამორიცხულია. შემოსავლების ანაზღაურების მხრივ ჯგუფში შემავალ კომპანიებს მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებები არ გააჩნია. კომპანიის შემოსავალმა 2018 წელს შეადგინა 8,555,059 ლარი.

10.რეალიზაციის თვითღირებულება

მოცემულია 2018 წლის განმავლობაში თვითღირებულების შემადგენელი ხარჯები:

	31.12.2018
ლაბორატორიული მომსახურება	3 911 749
ძირითადი მასალების დანახარჯები	261 449
დამხმარე მასალების დანახარჯები	44 672
შრომის ანაზღაურება	1 227 929
თანამშრომლების დაზღვევა	10 841
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	40 149
სხვა საოპერაციო ხარჯები	52 502
სულ რეალიზაციის თვითღირებულება:	5 549 290

11.ადმინისტრაციული ხარჯები

მოცემულია 2018 წლის განმავლობაში გაწეული ადმინისტრაციული ხარჯები:

	31.12.2018
იჯარა	231 027
შრომის ანაზღაურება	1 104 154
თანამშრომლების დაზღვევა	25 033
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	77 500
სამეურნეო ხარჯი	95 873
ავტომანქანის ხარჯები	52 332
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	156 127
ბანკის მომსახურება	56 195
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	358 459
სულ ადმინისტრაციული ხარჯები:	2 156 699

12.ფინანსური რისკების მართვა

შპს „მრჩეველი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია განიხილავს თავის რისკებს ფინანსური რისკების კონტექსტში, რომელიც მოიცავს საკრედიტო, საბაზრო, სავალუტო ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთების რისკებს. ამასთან კომპანია პერმანენტულად ახორციელებს სამუშაოებს საოპერაციო რისკების მინიმიზაციის კუთხითაც.

საკრედიტო რისკი

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31.12.2018	31.12.2017
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	221 721	203 711
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80 029	53 494
ფული და ფულის ექვივალენტები	785 902	420 804
სულ საკრედიტო რისკს დაქვემდებარებული ფინანსური ინსტრუმენტები:	1 087 652	678 010

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

სავალუტო რისკის ანალიზი 2018 წლის 1 იანვრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
USD 1 =	EUR 1 = 3.0701	USD 1 =	EUR 1 = 3.1044
2.6766 GEL	GEL	2.5922 GEL	GEL

ფინანსური აქტივები

შპს „მრჩეველი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	4 450		4 830	
მოწოდებიდან და მომს.წარმოქმნილი ვალდ.	293 549		178 379	
სასესხო ვალდებულებები	1 062 063		160 622	
ფული და ფულის ექვივალენტები	27 361	206 254	5 046	82 026
სულ ფინანსური აქტივები	1 089 424	504 254	165 668	265 235

სულ წმინდა პოზიცია	1 089 424	504 254	165 668	265 235
---------------------------	------------------	----------------	----------------	----------------

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2018 31 დეკემბრის და და 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
	USD ზეგავლენა	USD ზეგავლენა	USD ზეგავლენა	USD ზეგავლენა
	EUR/GEL	EUR/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	10%	10%	10%	10%
მოგება/ზარალი გადასახადებამდე:	108 942	50 425	16 567	26 524

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. ჯგუფს გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ლიკვიდურობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

	0-30	31-180	181-360	1 წელზე მეტი
ფინანსური აქტივები				
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	227 721			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	12 816			
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80 029			
ფული და ფულის ექვივალენტები	785 902			
სულ ფინანსური აქტივები	1 100 468	-	-	-

ფინანსური ვალდებულებები

მოწოდებიდან და მომს.წარმოქმნ. ვალდებ.	694 391
---------------------------------------	---------

შპს „მრჩეველი“

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სესხები	11 440	34 804	42 123	973 695
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	37 999			
სულ ფინანსური ვალდებულებები	743 829	34 804	42 123	973 695
ლიკვიდურობის მაჩვენებელი	356 639	(34 804)	(42 123)	(973 695)
ჯამური ლიკვიდურობის მაჩვენებელი	356 639	321 834	279 711	(693 983)

კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული მიზანია შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალის ბაზა, რათა მიაღწიოს „კომპანიის“ საოპერაციო და სტრატეგიულ მიზნებს და შეინარჩუნოს ბაზრის მონაწილეთა ნდობა.

13. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ჯგუფის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, ჯგუფის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევენ, რომ ჯგუფს რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. ჯგუფი მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება დაუკავშირებელ პირებთან. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

ოპერაციის შინაარსი	უმაღლესი მენეჯმენტი/ მფლობელები	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	14 021	34 612
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
მოწოდებიდან და მომს.წარმოქმნილი ვალდებულებები		496 496
მიღებული შემოსავალი		14 400
გაწეული ხარჯები	63 701	2 800 078
პერსონალის ხარჯები	568 577	

15. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.